შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტი

სკრინინგის ანგარიში

მის: სამტრედიის მუნიციპალიტეტი, სოფ. საჯავახო

ობიექტი: საჯავახო

ნოემბერი 2021

სარჩევი

შესავალი 2

ძირითადი საპროექტო მონაცემები 2

- დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები 2
- საპროექტო ტერიტორიის დახასიათება 3
- არსებული საქმიანობის დახასიათება 4
- დაგეგმილი საქმიანობის დახასიათება 5
- ბუნებრივი რესურსების გამოყენება; 6

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება 6

- მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები 6
- ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის წყლებზე 7
- ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე 7
- ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაური 8
- მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე 11
- კუმულაციური ზემოქმედება 11
- ნარჩენების წარმოქმნა 11
- სახანძრო უსაფრთხოება 12
- რეზიუმე 12

დანართები 12

შესავალი

სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში, სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მიმდებარედ შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“ 2012 წლიდან ექსპლუატაციას უწევს არსებულ ავტოგასამართ სადგურს - „საჯავახო“. წარმოდგენილი პროექტის შესაბამისად, კომპანიის მიერ დაგეგმილია აღნიშნულ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების წლიური ბრუნვის ზრდა, რისთვისაც ობიექტზე გათვალისწინებულია ნავთობპროდუქტების საცავის დამატება.

ვინაიდან საქართველოს კანონის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის მე-6 პუნქტის 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, **ნავთობისა და ნავთობპროდუქტის, ნავთობქიმიური ან/და ქიმიური პროდუქტის საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია** წარმოადგენს აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სკრინინგის პროცედურას დაქვემდებარებულ საქმიანობას, კომპანიის მიერ, ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, შემუშავებულ იქნა დაგეგმილ საქმიანობაზე წინამდებარე სკრინინგის ანგარიში.

ძირითადი საპროექტო მონაცემები

დაგეგმილი საქმიანობის ზოგადი ტექნიკური მახასიათებლები

კომპანიის დასახელება	**შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯია“**
კომპანიის იურიდიული მისამართი	საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ., N34, სართ. N6
ელ-ფოსტა:	official@gulf-ge.com
საიდენტიფაკციო კოდი	404391136
საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატები	X - 276138.55, Y - 4664808.82
საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო კოდი	**34.11.48.007**
მანძილი ობიექტიდან უახლოეს დასახლებულ პუნქტამდე	42 მ
ეკონომიკური საქმიანობის სახე	ავტოგასამართი სადგური
ობიექტის წარმადობა (წლიური)	650 $მ^3$ ბენზინი

	500 $м^3$ დიზელი
სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში	365 დღე
სამუშაო საათების რაოდენობა დღე-ღამეში	24 სთ

საპროექტო ტერიტორიის დახასიათება

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ავტოგასამართი სადგური მდებარეობს სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. საჯავახოში, სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზის მიმდებარედ **34.11.48.007** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული მიწის ნაკვეთის ფართობი 1000 $м^2$-ს შეადგენს. ნაკვეთი წარმოადგენს შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ საკუთრებას (იხ. დანართი: ამონაწერი საჯარო რეესტრიდან).

საპროექტო მიწის ნაკვეთის ჩრდილოეთით გადის სამტრედია-ლანჩხუთი-გრიგოლეთის საერთაშორისო მნიშვნელობის საავტომობილო გზა. ობიექტს აღმოსავლეთით, სამხრეთითა და დასავლეთით ემიჯნება არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები, ხოლო უახლოესი საცხოვრებელი სახლი მდებარეობს ობიექტის დასავლეთით, ნაკვეთის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 42 მეტრის დაშორებით. საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X - 276138.55, Y - 4664808.82.

ილუსტრაცია 1 საპროექტო ტერიტორიის სიტუაციური რუკა

არსებული საქმიანობის დახასიათება

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილ ავტოგასამართ სადგურზე მოწყობილია მსგავსი ტიპის ობიექტის ექსპლუატაციისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა. ტერიტორიაზე განთავსებულია ოფის-მარკეტის შენობა, ფარდულის ტიპის ნაგებობა, სადაც განთავსებულია მარიგებელი სვეტები. ტერიტორიაზე ასევე მოწყობილია ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა და დამონტაჟებულია მეხამრიდი, რომელიც ფარავს საოპერატორო შენობას და ფარდულს. ობიექტის ტერიტორიაზე მოწყობილია სანიაღვრე წყალარინების სისტემა და შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარემოში მოხვედრის პრევენციის მიზნით სპეციალური ნავთობდამჭერი სალექარი.

ავტოგასამართ სადგურზე ამჟამად განთავსებულია ნავთობპროდუქტებსათვის განკუთვნილი ოთხი ცალი ლითონის მიწისქვეშა, ჰორიზონტალური რეზერვუარი. აღნიშნული რეზერვუარებიდან სამი 15.1 მ^3, 49.49 მ^3 და 7.1 მ^3 მოცულობით განკუთვნილია ბენზინის საწვავისთვის, ხოლო ერთი, 49.49 მ^3 მოცულობის, განკუთვნილია დიზელის საწვავისთვის (იხ. არსებული რეზერვუარების ცხრილი).

ავზი N1	ბენზინი	15.1 მ³
ავზი N2	ბენზინი	49.49 მ³
ავზი N3	ბენზინი	7.1 მ³
ავზი N4	დიზელი	49.49 მ³

ავტოგასამართ სადგურებზე რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, ბეტონის სარკოფაგში თითოეული მათგანი დამზადებულია ლითონისგან, დაფარულია ანტიკოროზიული საღებავის ორი ფენით და აღჭურვილია სასუნთქი სარქველებით. რეზერუარებიდან ნავთობპროდუქტები მიწისვეშა მილსადენების მეშვეობით მიეწოდება მარიგებელ სვეტებს, საიდანაც ხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე განთავსებულია ორი ერთეული ორმხრივი საწვავმარიგებელი სვეტი. მათ შორის ერთი განკუთვნილია ბენზინის საწვავის გასაცემად, ხოლო მეორე - დიზელის საწვავის გასაცემად.

ავტოგასამართ სადგურზე სარეალიზაციო საწვავის მიღება ხორციელდება კომპანიის კუთვნილი ავტოცისტერნებით, საიდანაც საწვავი ჩაიტვირთება რეზერვუარებში, საიდანაც ტექნოლოგიური მილსადენით მიწოდებული იქნება არსებულ საწვავმარიგებელ სვეტებზე. აღსანიშნავია, რომ საწვავის მიღებისას გათვალისწინებულია ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე და საწვავის მიღების პროცესის მხოლოდ აღნიშნული ქმედების შემდეგ დაწყება.

დაგეგმილი საქმიანობის დახასიათება

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ განზრახული აქვს არსებულ ობიექტზე საწვავის რეალიზაციის გაზრდა, რისთვისაც ავტოგასამართ სადგურზე, **34.11.48.007** საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, სკრინინგის ანგარიშით წარმოდგენილი პროექტის ფარგლებში დაიგეგმა დამატებითი საწვავის ავზის მოწყობა და ექსპლუატაცია. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე დაგეგმილია 1 ცალი, 49 მ³ მოცულობის, დიზელის საწვავისათვის განკუთვნილი რეზერვუარის განთავსება. პროექტის განხორციელების შემდგომ, ავტოგასამართ სადგურზე ჯამურად იფუნქციონირებს 5 რეზერვუარი, რომელთა მონაცემებიც, შესაბამისად, წარმოდგენილია ცხრილში:

ავზი N1	ბენზინი	15.1 მ³
ავზი N2	ბენზინი	49.49 მ³
ავზი N3	ბენზინი	7.1 მ³
ავზი N4	დიზელი	49.49 მ³
ავზი N5 (საპროექტო)	დიზელი	49.49 მ³

ჯამურად ხუთივე ავზის ჯამური მოცულობა იქნება 170.67 $მ^3$ და განკუთვნილი იქნება 71690 ლ ბენზინისა და 98980 ლ დიზელის შესანახად. ავტოგასამართ სადგურზე, საპროექტო რეზერვუარის დამატების შემდგომ, წლის განმავლობაში დაგეგმილია - 650.6 $მ^3$ ბენზინისა და 500 $მ^3$ დიზელის რეალიზაცია. ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმად განსაზღვრულია წელიწადში 365 დღე, ხოლო სამუშაო საათების რაოდენობად - 24 სთ/დღღ. ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებულია 4-6 ადამიანი.

საპროექტო რეზერვუარი იქნება ობიექტზე არსებული რეზერვუარების ანალოგიური: კერძოდ, დამზადებული იქნება ლითონისგან, კედლის სისქე იქნება 10 მმ, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და მასზეც დამონტაჟდება სასუნთქი სარქველი. რეზერვუარებზე დამონტაჟებული სასუნთქი სარქველის სიმაღლე იქნება h – 2,5 მ. ხოლო დიამეტრი: D – 0,05 მ. რეზერვუარი განთავსდება ბეტონის სარკოფაგში.

ბუნებრივი რესურსების გამოყენება;

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას წყლის მოხმარება ხდება მხოლოდ სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით, რისთვისაც წყალაღება ხორციელდება ცენტრალური წყალმომარაგების ქსელიდან. ხოლო საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები ობიექტზე არსებული საკანალიზაციო ქსელიდან ჩაედინება ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაში. შესაბამისად, სამეურნეო-ფეკალური წყლებით გარემოს დაბინძურება მოსალოდენლი არ არის.

ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილ სანიაღვრე წყლები იკრიბება, ობიექტზე არსებულ სანიაღვრე ქსელში, საიდანაც გადაინაცვლებს სალექარში. სალექარში წარმოქნილი ნარჩენები დროებით დასაწყობდება ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე, სპეციალურ კასრებში და სამართავად გადაეცემა შესაბამისი ნებართვის/გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მქონე კომპანიას.

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება

მოსალოდნელი ზემოქმედების სახეები

ავტოგასამართი სადგურის საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებიდან აღსანიშნავია ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე და

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის

საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით, შესაძლებელია მოეწყოს ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

ზემოქმედება ნიადაგსა და გრუნტის წყლებზე

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ნავთობპროდუქტების საცავის განთავსება დაგეგმილია უკვე არსებულ ავტოგასამართ სადგურზე, რომელიც მობეტონებულია და წარმოადგენს ანთროპოგენურად სახეცვლილ ტერიტორიას. დაგეგმილი პროექტი მსხვილი მასშტაბის სამშენებლო და მიწის სამუშაოებს არ ითვალისწინებს. ტერიტორიაზე მოხდება ასფალტის ამოჭრა, ბეტონის სარკოფაგში პროექტით გათვალისწინებული რეზერვუარის განთავსება და ზედაპირის ისევ ბეტონით დაფარვა. შესაბამისად, ნიადაგზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის დროს ნიადაგის ან/და გრუნტის წყლების დაბინძურების რისკები ძირითადად უკავშირდება საწვავის შემთხვევით დაღვრას. იმის გათვალისწინებით, რომ ავტოგასამართ სადგურზე ნავთობპროდუქტების გასაცემი სვეტები განთავსებულია გადახურულ (ფარდულის) ტიპის ნაგებობაში, ხოლო ობიექტის პერიმეტრზე მოწყობილია წყალშემკრები სისტემა და გამწმენდი სალექარი, ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას გრუნტის წყლებზე და ნიადაგზე ნავთობპროდუქტების უარყოფით ზემოქმედებას პრაქტიკულად ადგილი არ ექნება.

უსაფრთხოების მიზნით ობიექტზე დამატებით იგეგმება ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში გამოსაყენებელი სპეციალური აღჭურვილობის განთავსება (აბსორბენტები ან/და ქვიშა), რომელიც გამოყენებული იქნება საჭიროებისამებრ.

ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებსა და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე

ავტოგასამართი სადგური არ მდებარეობს ჭარბტენიანი ტერიტორიების, ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობების სიახლოვეს.

აგრეთვე, ობიექტის მოწყობის თავდაპირველ ეტაპზე, მიწის სამუშაოების წარმოების დროს არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის დაფიქსირება არ მომხდარა. შესაბამისად, საქმიანობის განხორციელება და ობიექტზე დამატებით 12 $მ^3$

მოცულობის მიწისქვეშა ავზის დამატება ხსენებულ საკითხებთან მიმართებთ უარყოფითი ზემოქმედების მატარებელი არ იქნება.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და ხმაური

ავტოგასამართი სადგური დაპროექტებულია „ავტოგასამართი სადგურებისა და ავტოგასამართი კომპლექსების უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 8 დეკემბრის №1-1/2935 ბრძანებაში ასახული დებულების მოთხოვნების შესაბამისად. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს შემდეგი ტექნოლოგიური პროცესები და დანადგარები: თხევადი საწვავის (ბენზინი, დიზელი) მიღება ავტოცისტერნებით, დროებითი შენახვა (მიწისქვეშა რეზერვუარებში) და მომხმარებლებზე გაცემა (საწვავ-სარიგებელი სვეტ-წერტილების მეშვეობით).

ავტოგასამართი სადგურების ძირითადი მოწყობილობებია: თხევადი საწვავის (ბენზინი. დიზელი) საწვავ-გამანაწილებელი სვეტები (სულ 2 ერთეული ორმხრივი. მათ შორის: 1 ბენზინის. 1 დიზელის საწვავისთვის.)

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადგილი ექნება ავტოგასამართი სადგურის ძირითად უბნებზე მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის ექსპლუატაციისას გამოყოფილ მავნე ნივთიერებებს წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები.

მავნე ნივთიერებების ემისიების მაქსიმალური ერთჯერადი და საშუალო დღეღამური ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციები მოცემულია ცხრილში:

მავნე ნივთიერებათა		ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია, მგ/მ^3		მავნეობის საშიშროების კლასი
დასახელება	კოდი	მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო სადღეღამისო	
1	2	3	4	5
ნავთობის ნახშირწყალბადები (ჯამურად)	2754	1,0	-	4

აღნიშნული ობიექტისათვის შესრულდა ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების და მათ მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ინვენტარიზაციის ტექნიკური ანგარიში, რომელშიც სისტემატიზებულია ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის შედეგად არსებული ატმოსფერული ჰაერის სტაციონარული დაბინძურების წყაროების მიერ გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 6 სტაციონარული წყარო.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 იანვრის № 42 დადგენილების „ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროების ინვენტარიზაციის ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე-5 მუხლის თანახმად ემისიის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაანგარიშება შესაძლებელია განხორციელდეს ორი გზით:

- უშუალოდ ინსტრუმენტული გაზომვებით;
- საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

წინამდებარე დოკუმენტში გაანგარიშება შესრულებულია საანგარიშო მეთოდის გამოყენებით.

<u>ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში დიზელის საწვავის რეალიზაციისას</u> (გ-1. გ-2. გ-5).

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ დიზელის საწვავზე საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 0,0025 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება დიზელის საწვავის წლიური მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე - 0,0025. დიზელის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 500 $მ^3$ (500 000 ლ/წ). გაფრქვევის სამი წყაროსთვის. (გ-1. გ-2. გ-6)

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

$M=V1 * C_{საშ}$ (გ/წმ)

$G= V1 * C_{საშ} * T * 3600/10^6$ (ტ/კვარტალი ან წელი)

C საშ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში. $გ/მ^3$;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო. სთ. კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 500 000 ლ/წელ * 0.0025 გ/ლ * 10^{-6}= 0.00125ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: დიზელისთვის - 0.00125 ტ/წ * 10^{6}/365დღ/24სთ/3600წმ = 0.00003964 გ/წმ

<u>ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის გაანგარიშება ბენზინის საწვავის რეალიზაციისთვის</u> (გ-3. გ-4. გ-6. გ-7)

ტექნოლოგიურ პროცესში მავნე ნივთიერებათა აიროვანი გამონაფრქვევები გაანგარიშებულია საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის დადგენილება № 435-ის, „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდიკის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ მიხედვით, რომლითაც (დანართი № 98) ერთ ლიტრ რეალიზებულ ბენზინისათვის საერთო კუთრი დანაკარგი (მიღება, შენახვა, გაცემა) შეადგენს 1,4 გრ-ს. შესაბამისად წლიური დანაკარგი გამოითვლება ბენზინის წლიური მობენზინის საწვავის წლიური სავარაუდო რეალიზაცია შეადგენს 650.6 მ3 (650600 ლ/წ).

მავნე ნივთიერებათა ემისია გამოითვლება ფორმულებით:

M=V1 * C $_{\text{საშ}}$ (გ/წმ)

G= V1 * C $_{\text{საშ}}$ * T * 3600/10^{6} (ტ/კვარტალი ან წელი)

C საშ - მავნე ნივთიერებათა საშუალო კონცენტრაცია აირჰაერმტვრნარევში. გ/მ3;

T - მავნე ნივთიერებათა გამოყოფის წყაროს მუშაობის დრო. სთ. კვარტალი ან წელი.

წლიური ემისია - 650600 0 ლ/წელ * 1.4 გ/ლ * 10^{-6}= 0.91084 ტ/წ

ავტოგასამართი სადგურის მუშაობის რეჟიმი (24 სთ/დღ წლის განმავლობაში) გათვალისწინებით წამური ემისია იქნება: ბენზინისთვის - 0.91084 ტ/წ *10^{6}/365დღ/24სთ/3600წმ=0.02888255 გ/წ მოცულობის (ლიტრებში) რეალიზაციის გამრავლებით კოეფიციენტზე -1,4.

ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილია ატმოსფეროში გაფრქვევის 7 სტაციონალური წყარო; მათ შორის 5 ორგანიზებული და 2 არაორგანიზებული;

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების წლიური რაოდენობა ტოლია - 0.91209 ტ. მაშასადამე. ნახშირწყალბადების წლიურმა გაფრქვევამ ჯამურად შეადგინა - 0.91209 ტ/წ.

ინვენტარიზაციის ანგარიშიდან დგინდება, რომ ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული ნივთიერებები არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს.

ავტოგასამართ სადგურზე ხმაურის გამომწვევი დანადგარების განთავსება/ექსპლუატაცია არ არის გათვალისწინებული. შესაბამისად, ხმაურის დასაშვები დონის გადაჭარბებას ადგილი არ ექნება.

მოსალოდნელი ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ავტოგასამართი სადგური მდებარეობს უკვე ათვისებულ, სახეცვლილ ტერიტორიაზე. ობიექტის ტერიტორია მოასფალტებულია და თავისუფალია მცენარეული საფარისაფან. მასზე აგრეთვე არ გვხვდება მრავალწლოვანი ნარგავები (შესაბამისად, არც „წითელი ნუსხით“ დაცული სახეობები). ავტოგასამართი სადგურის მდებარეობიდან გამომდინარე, ობიექტის სიახლოვს აგრეთვე არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობის სამუშაოები, აგრეთვე ობიექტის ფუნქციონირება, ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

კუმულაციური ზემოქმედება

შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას“ კუთვნილი ავტოგასამართი სადგურის სიახლოვეს სხვა ავტოგასამართი სადგურები არ ფუნქციონირებს. შესაბამისად, ნავთობპროდუქტების საცავების მოწყობისა და საწვავის რეალიზაციასთან დაკავშირებული საქმიანობისას გარემოზე კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ იქნება.

ნარჩენების წარმოქმნა

ავტოგასამართი სადგურის ფუნქციონირებისას წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო ნარჩენები და სახიფათო ნარჩენები, ნარჩენების შეგროვება მოხდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. მუნიციპალური ნარჩენის გატანა მოხდება შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. ხოლო სახიფათო ნარჩენები, როგორიცაა ნავთობით დაბინძურებული ტანისამოსი,

აბსორბენტები, ხელსაწყოები და სხვა, ნარჩენი. შეინახება სახიფათო ნარჩენებისათვის განკუთვნილ სპეციალურ კონტეინერში და შემდგომში დამუშავების/განადგურების მიზნით გადაეცემა გარემოსდაცვითი შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას.

სახანძრო უსაფრთხოება

სახანძრო უსაფრთხოების მიზნით, ავტოგასამართი სადგური უზრუნველყოფილი იქნება სახანძრო ინვენტარით და საჭირო რაოდენობის პირველადი ქრობის საშუალებებით (ცეცხლმაქრებით). დამატებით, შესაძლებელია მოეწყოს ხანძრის აღმომჩენი სახანძრო სიგნალიზაციები, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ შემოწმებას.

რეზიუმე

ყოველივე ზემოღნიშნულის საფუძველზე, დაგეგმილი საქმიანობა, თავისი სპეციფიკიდან, მასშტაბდან და ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებასთან დაკავშირებული არ იქნება.

საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ბეტონის საფარი, გადახურვა და წყალშემკრები სისტემა უზრუნველყოფს შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების გარემოში მოხვედრის პრევენციას. ასევე, მცირე მოცულობიდან გამომდინარე, პრაქტიკულად უმნიშვნელო იქნება და გარემოზე მნიშვნელოვან უარყოფით ზემოქმედებას ვერ მოახდენს ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე წარმოქმნილი და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები - ნახშირწყალბადები.

საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება დამატებითი ტერიტორიების ათვისებასთან, მრავალწლოვანი ხე-მცენარეების მოჭრასთან და ფლორასა და ფაუნაზე ზემოქმედებასთან

აღსანიშნავია, რომ ავტოგასამართ სადგურზე დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, შესაბამისად, ობიექტის საქმიანობა დადებით გავლენას ახდენს ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

დანართები

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 34.11.48.007**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია
N 882019880076 - 24/10/2019 18:06:20

მომზადების თარიღი
24/10/2019 18:41:46

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი
სამტრედია	საჯავახო		
34	**11**	**48**	**007**

მისამართი: რაიონი სამტრედია , სოფელი საჯავახო

ნაკვეთის საკუთრების ტიპი:საკუთრება
ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
დაზუსტებული ფართობი: 1000.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**34.11.02.005;**
შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 განაშენიანების ფართი:108კვ/მ, N2 განაშენიანების ფართი:17.30კვ/მ.

მესაკუთრის განყოფილება

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012177486 , თარიღი 26/04/2012 18:01:24
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/05/2012

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- ნასყიდობის ხელშეკრულება N110172014 , დამოწმების თარიღი:26/02/2011 ,ნოტარიუსი მ.გვაზავა

მესაკუთრეები:
შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია", ID ნომერი:404391136

მესაკუთრე: **აღწერა:**
შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"

იპოთეკა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882012177486 თარიღი 26/04/2012 18:01:24

იპოთეკარი: სააქციო საზოგადოება "საქართველოს ბანკი"204378869;
მესაკუთრე: **შპს "სან პეტროლიუმ ჯორჯია"** 404391136;
საგანი:მიწის ნაკვეთი: 1000 კვ.მ. შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:N1 განაშენიანების ფართი:108კვ/მ, N2 განაშენიანების ფართი:17.30კვ/მ. ;

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 02/05/2012

იპოთეკის ხელშეკრულება N1-859885-დ იპოთეკის ხელშეკრულების დამატებითი პირობები დანართიN 1-859885-დ-001 იპოთეკის ხელშეკრულება N859885-დ-001 , რეესტრის ნომერი N120426337, დამოწმების თარიღი25/04/2012, ნოტარიუსი ირმა შარვაშიძე

საგადასახადო გირავნობა:

რეგისტრირებული არ არის

ვალდებულება

ყალალა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის ვადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური სარვეგის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge


34 11 48 007
382011013668
N
E
S
341148007
1:500